

ატმოსფეროს დაბინძურების შედარებითი ანალიზი პანდემია კოვიდ 19-ის პირობებში

ოლდა მამუკელაშვილი

ელ-ფოსტა: olda.mamukelashvili788@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #1

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა, გარემოს გლობალური დაბინძურებაა, რაც კლიმატის ცვლილებას იწვევს. ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ ადამიანი სახეს უცვლის გარემოს და მთლიანად ეკოსისტემას. შედეგად უარესდება სოციალური გარემო, ჯანმრთელობის მდგომარეობა, რასაც უკვე გლობალური ხასიათი აქვს და მოიცავს მთლიანად პლანეტას.

სადიპლომო ნაშრომი მიზანია, ქალაქ თბილისისათვის ატმოსფეროს დაბინძურების ანთროპოგენური წყაროების თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასება; ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობა; ატმოსფეროს ძირითადი დამაბინძურებელი ინგრედიენტების (მყარი შეწონილი ნაწილაკები (PM 10 და PM 2.5), აზოტის დიოქსიდი (NO 2), ოზონი (O 3), გოგირდის დიოქსიდი (SO 2) და ნახშირორჟანგი (CO) შეფასება კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში (შედარებითი ანალიზი, პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ პერიოდში); ატმოსფეროს გაჭუჭყიანების დონისა და მისი ზემოქმედების გავლენა, ადამიანის ჯანმრთელობაზე ქალაქ თბილისის პირობებისათვის.

გამოვლენილია ცალკეული დამაბინძურებელი წყაროების მიერ ატმოსფეროში არსებული აეროზოლების რაოდენობრივი ცვლილების დინამიკა. დადგენილია, რომ ატმოსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობა დამოკიდებულია დაბინძურების წყაროს სპეციფიკურობაზე და ინტენსიობაზე, ფიზიკურ-გეოგრაფიულ და მეტეოროლოგიურ პირობებზე.

